UBC International

იუ-ბი-სი ინთერნეიშენელ
ჭავჭავაძის გამზირი № 74
0162 თბილისი, საქართველო
ტელ.: (995) (32) 222301, 933852
ფაქსი: (995) (32) 25 22 66
ელ-ფოსტა: ubc@ubc-i.com

UBC INTERNATIONAL LTD.
74 Chavchavadze Avenue
0162 Tbilisi, Georgia
Tel.: (995) (32) 222301, 933852
Fax: (995) (32) 252266
E-mail: ubc@ubc-i.com

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციას
გაგარინის პირველი შესახვევი №8, თბილისი, საქართველო

ჩავატარეთ "მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის" (ორგანიზაცია) თანდართული ბუღალტრული ბალანსის ანგარიშგების აუდიტი 2003 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრთვე მასთან დაკავშირებული საქმიანობის ანგარიშგების, ფუნქციონალური ხარჯების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების აუდიტი იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღისთვის. მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენ გვევალება ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვხატოთ მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ და გავცეთ დასკვნა.

აუდიტს წარვმართავდით აშშ-ში საყოველთაოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისად. აუდიტი მოიცავს მტკიცებულებების შემოწმებას ტესტირების საფუძველზე ფინანსური ანგარიშგების თანხებისა და ახსნა-განმარტებების დადასტურების მიზნით, აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას, აგრეთვე წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანად. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის შესადგენად.

ორგანიზაციამ აუდიტის დაწყებამდე ჩაატარა ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია. ინვენტარიზაციის შედეგებზე დაყრდნობით, აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულებამ გადააჭარბა ორგანიზაციის რეესტრში აღნუსხულ წინა აუდირებულ საბალანსო ღირებულებას. მეტიც, წინა რეესტრის უმეტესი მუხლები რეკლასიფიცირებული იქნა, რის გამოც გართულდა ახალი და ძველი რეესტრების შედარება და შესაბამისობაში მოყვანა. იმდენად, რამდენადაც ჩვენ ვერ დავესწარით ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციის პროცესს, ჩვენ არ გამოვხატავთ ჩვენს მოსაზრებას გადაჭარბებულ თანხაზე 11,265 აშშ დოლარის ოდენობით, რომელიც შესულია ფინანსური მდგომარეობის და საქმიანობის ანგარიშგებების ძირითადი საშუალებების ნარჩენ საბალანსო ღირებულებისა და სხვა შემოსავლების მუხლებში.

ჩვენი აზრით, გარდა წინა აბზაცში განხილული საკითხებისა, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2003 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებს, გამოუყენებელ გრანტებს იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით და აშშ-ში საყოველთაოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების მიხედვით.

იური დოლიძე

12 ივლისი 2004 წელი

UBCI 204941144 GEORGIA. "UBC INTERNATIONAL" LTD.